შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი

კოორდინატორები:

ნინო აბუსელიძე
ქეთევან გორგაძე

2026

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

კონკურსის მიზანი

- ✓ ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების ხარისხის გაუმჯობესება
- ✓ თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება
- ✓ ახალგაზრდა მეცნიერთა აკადემიურ საქმიანობაში ჩართულობა
- ✓ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერებდა და გაუმჯობესება

სამეცნიერო მიმართულებები

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ✓ ინჟინერია და ტექნოლოგიები;
- ✓ სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
- ✓ აგრარული მეცნიერებები;
- ✓ სოციალური მეცნიერებები;
- ✓ ჰუმანიტარული მეცნიერებები;



კონკურსში მონაწილე სუბიექტები

- **ახალგაზრდა მეცნიერი**– საქართველოს მოქალაქე, რომელსაც დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში.

- **მასპინძელი დაწესებულება** – საქართველოში რეგისტრირებული სსიპ, ა(ა)იპ, საქართველოს უსდ, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება.

- **მენტორი** - დოქტორი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. მასპინძელი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი.

- **კონსულტანტ(ებ)ი** - პირი, რომელსაც გააჩნია კვლევითი პროექტის კონკრეტული სამეცნიერო, მეთოდოლოგიური, ტექნიკური ან გამოყენებითი ასპექტების შესაბამისი სპეციალიზებული ექსპერტიზა/ცოდნა, პროფესიული კომპეტენციები და პრაქტიკული გამოცდილება და რომელიც სამეცნიერო კონსულტირებას უწევს ახალგაზრდა მეცნიერს.

- **დამხმარე პერსონალი** – მასპინძელი დაწესებულების ლაბორანტი, ბაკალავრიატის სტუდენტი, ბაკალავრი, მაგისტრანტი, მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი და დოქტორანტი

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

საკონკურსო დოკუმენტაცია 1/2

- ✓ პროექტის თავფურცელი *(სავალდებულო)* - ივსება GMUS-ში (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ✓ საპროექტო წინადადება *(სავალდებულო)* - იტვირთება GMUS-ში PDF ფორმატით (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ✓ ახალგაზრდა მეცნიერის და მენტორის CV-ები *(სავალდებულო)* - გენერირდება GMUS-ში, ექსპორტირდება და იტვირთება PDF ფორმატით ახალგაზრდა მეცნიერის მიერ (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ✓ კონსულტანტის *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* CV იტვირთება GMUS-ში ნებისმიერი ფორმატით (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ✓ მენტორისა *(სავალდებულო)* და კონსულტანტის *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* თანხმობის წერილები - იტვირთება GMUS-ში PDF ფორმატით (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

საკონკურსო დოკუმენტაცია 2/2



- ✓ პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი *(სავალდებულო)* - ივსება GMUS-ში (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ✓ პროექტის განხორციელების ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება *(სავალდებულო)* - ივსება GMUS-ში (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ✓ სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის შესახებ *(ასეთის არსებობის შემთხვევაში და გარდა მასპინძელი დაწესებულებისა)* - იტვირთება GMUS-ში PDF ფორმატით (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ✓ ცნობა თანადაფინანსების შესახებ *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* - იტვირთება GMUS-ში PDF ფორმატით (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ✓ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ *(სავალდებულო)* - გენერირდება GMUS-ით, წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის კანცელარიაში (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

მაქსიმუმ
35 000 ლარი წელიწადში
70 000 ლარი - ორ წელიწადში

ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდია (მაქსიმუმ 17 000 ლარი წელიწადში)

კვლევითი საქმიანობის ხარჯები (მაქსიმუმ 16 000 ლარი წელიწადში)

ზედნადები ხარჯები (მაქსიმუმ 2000 ლარი წელიწადში)

გრანტის მიმღების ვალდებულებები

- ✓ გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ.

- ✓ საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, საკონფერენციო კრებულები და წიგნები, რომლებიც ინდექსირებულია შემდეგ რეიტინგებში: Scimago Journal Ranking, Elsevier (Scopus, ScienceDirect) Web of Science, ERIH plus, ასევე The Journal of Nature Studies - Annals of Agrarian Science.

<u>გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პროექტის მოსამზადებლად აუცილებელია დეტალურად გაეცნოთ როგორც მინისტრის ბრძანებას, ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პირობებსა და შესაბამის დანართებს</u>

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

მადლობა ყურადღებისთვის!

www.rustaveli.org.ge